

22-23 იანვარს „ოლიმპიად-80“-ის საორგანიზაციო კომიტეტში გაიმართა შერეული კომისიის მორიგი თათბირი, რომელშიც მონაწილეობდნენ ბულგარეთის, უნგრეთის, ვიეტნამის, გერმანიის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, ლაოსის, მონგოლიის, პოლონეთის, რუმინეთის, სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სპორტულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები.

თათბირის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიური თამაშების მზადებაზე, ეწვივნ ოლიმპიურ ობიექტებს.

სოციალისტური ქვეყნების სპორტული ორგანიზაციების ხელმძღვანელები მიიღო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ვ. ზიმინინმა. საუბარში, რომელშიც გაულობლ, ამხანაგურ ვითარებაში ჩაიარა, შეეხებ ურთიერთსაინტერესო საკითხებს. საუბარში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, „ოლიმპიად-80“-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ი. ტ. ნოვიკოვი, სკკპ ცკ-ის პრეზიუმის განყოფილების გამგე ე. მ. ტიანელიცკოვი.

(საკდები).

● ფრანგურტი

ოლიმპიური

საგზაჯარისკის

ბულგარეთში გაიმართა მესამე ტურის შეხვედრები ფრანგურტიდან იმ აუნდებისთვის, რომლებიც მოსკოვის ოლიმპიადის საგზაჯარისკის იბრძვიან.

სოფიაში მასპინძლებმა დაამარცხეს კანადელები — 3:0. ხოლო გერმანიის ნაკრებმა სძლია მექსიკის გუნდს — 3:0. ამ ჩაგუფში ლიდერობენ ბულგარელები. მათ სამივე შეხვედრა მოიგეს. ბულგარელებს ფინალურ ჩაგუფში მონაწილეობის უფლება უკვე გარანტირებული აქვთ.

მეორე ჩაგუფში (ტურნირი პერანკში მიმდინარეობს) წინ არის რუმინეთის ვაეთა ნაკრები. მან მორიგ შეხვედრაში სძლია იაპონიის კოლექტივს — 3:1. ჩეხოსლოვაკელებმა წააგეს სამხრეთ კორეის ფრანგურტილებთან — 1:3.

ქალთა შორის მდგომარეობა ერთგვარად დიდება. პანარატიში ტურის ნამდვილი სენსაცია გახლდათ მასპინძლების წაგება ბრაზილიელებთან — 1:3. რუმინელებმა დაამარცხეს მექსიკელები — 3:0. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის და უნგრეთის სპორტსმენთა დავა კორეელებმა მოიგეს — 3:0. აქ ოლიმპიელის ერთადერთი საგზაჯარის მობრების თანხარი შანსი აქვთ ბულგარეთის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, რუმინეთისა და ბრაზილიის გუნდებს.

● მალეოსნობა

5 ქალაქში

ამერიკის შერეობული შტატების ქალაქებში (პორტლენდი, ლოს-ანჯელესი, ალბუკერკი, კრივლენდი, ლუისვილი) გაიმართლ დიდი საერთაშორისო ტურნირებში გამოსვლებით იწყებენ ოლიმპიურ სეზონს საბჭოთა მძლეოსნები. აშშ-ს გაემგზავრნენ მონრეალის ოლიმპიადის გერცხლის პრიზორი 100 მეტრზე თარგბენში ტ. ანსიმოვი, სსრ კავშირის რეკორდსმენი 400 მეტრზე რბენში ნ. ჩერნეკვი, სსრ კავშირის ხალხთა სპორტკლავის ჩემპიონი 110 მეტრზე თარგბენში ა. პუჩკოვი, მსოფლიო უნივერსიადის ჩემპიონი ამ დისტანციაზე ა. პროკოფიევი, სპორტკლავის ჩემპიონი ხუთქილით ე. სმიტნოვი, მორბენლები გ. მურაიოვი და რ. ვალიულისი.

რაკორდი გაიმორა

მინსკის მანქანი სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის გ. ბულატივის ხსოვნის საკავშირო ტურნირზე აღმათელმა ს. კულიბაბამ ჭოკით 560 სმ დაძლია და ზამთრის საკავშირო მინიგა გაიმორა.

კანონი

● ვალრაკი

დავაჯარაველი

გამარჯვება

ვპროპის გუნდურ პირველობაში, რომელიც შევეცის ქალაქ სკარაში მიმდინარეობს, გუნდინ წინ III ტურის შეხვედრები გაიმართა.

საბჭოთა გუნდი შეხვდა მასპინძელთა კოლექტივს. შედეგმა სარბიელზე გამოიყვანეს ახალგაზრდა ოსტატები, რომელთაც ქალაქის სამყარო კარგად მხოლოდ დიდოსტატ უ. ანდერსონს იცნობს.

გუნდების ლიდერების ა. კარპოვი — უ. ანდერსონის შეხვედრა ყაიმით დასრულდა. ასეთივე შედეგი ფიქსირებულ იქნა ტ. პეტროსიან — ლ. შნაიდერის პარტიაში.

დამაჯერებელი გამარჯვება იხეიშეს ლ. პოლუგაევსკიმ — გ. შიუსლერთან, რ. ვაპინანმა — ვ. ნიკოლსონთან, ა. იუსუპოვმა — ბ. იანსონთან და გ. კასპაროვმა — ნ. რენმანთან.

დოდ განსაცდელში აღმოჩნდნენ მ. ტალი ლ. კარლსონთან და

ო. რომანიშინი — ა. ორსტეინთან, რიგელი დიდოსტატი შეცდა კომბინაციაში და უფიგუროდ დარჩა. პარტია გადაიდო, მაგრამ შემდეგ ტალმა დათმო იგი. რომანიშინმა ცაიტნოტში ისე აურია, რომ... თავად გაიმარჯვა.

6:2 — ასე დამთავრდა შეხვედრა შევეციის გუნდთან. დანარჩენ მატჩებში ასეთი შედეგებია: ისრაელი — იუგოსლავია 2:5 (1), ჩეხოსლოვაკია — ინგლისი 4,5:2,5 (1), ბულგარეთი — უნგრეთი 4:4.

I ტურიდან გადადებული პარტიების დამთავრების შემდეგ შედეგებმა სძლიეს უნგრეთის ნაკრებს — 4,5:3,5.

ბინჯვით დაუსნრეველ კონფერენციას!

ბასული სპორტული სეზონი მდიდარი იყო საკავშირო, ევროპის, მსოფლიო ჩემპიონატებით, დიდი საერთაშორისო ტურნირებით. მაგრამ ყველაზე ღირსშესანიშნავი მოვლენა მაინც საბჭოთა კავშირის ხალხთა VII სპორტკლავის გახლდათ. იგი დასამახსოვრებელი იყო იმითაც, რომ ამ გრანდიოზული კომპლექსური ასპარეზობის ისტორიაში პირველად 85-მდე ქვეყნის 2306 უცხოელი ათლეტი იბრძოდა სპორტკლავის ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯავის მედლებით.

ფაქტურად ეს შეჯიბრება მომავალი XXII ოლიმპიური თამაშების ეგრეთწოდებულ წინა ოლიმპიურ კვირულად გადაიქცა. სწორედ მაშინ შედგა ნაცნობობა მოსკოვის იმ ბაზებთან, რომლებმაც წლეულს ოლიმპიადის 80-ს უნდა უმასპინძლონ. ჩვენი გაზეთი სისტემატურად ბეჭდვდა მასალებს სპორტკლავისთვის მზადებაზე, მის სვედლობაზე, სპორტკლავში საქართველოს, მოძვე რესპუბლიკებისა თუ ქვეყნის სტუმართა მონაწილეობის, ოლიმპიური მზადების, მშენებლობების შესახებ.

გასული სეზონი საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციებისთვისაც ღირსსახოვარი იყო — დიდი გადაჭარბებით შესრულდა რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმა-გაღებულმა — მომზადდა 47 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი და 336 სპორტის ოსტატი, აღიარს ვამბობთ თანრიგოსებზე, რომლებიც ათეულ ათასობით შეემატა რესპუბლიკას. საქართველოს პარტიული, საბჭოთა, პროფესორული და კომკავშირული ორგანიზაციების ზრუნვითა და დახმარებით კიდევ უფრო განმტკიცდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: უკანასკნელ წლებში იმდენი ნაგებობა ჩაგდა მწყობრში, რამდენიც ერთად არ აშენებულა მეოთხედი საუკუნის მანძილზე, ბევრიც შენდება. „ლელო“ ყველა ამაზე მკითხველებს დროულად მოუთხრობდა და კვლავაც სათანადო ადგილს დაუთმობს ამ საკითხს.

„სპორტის ძალა მის მასობრიობაშია“. „ფიზკულტურა და სპორტი — ჯანმრთელობის სამსახურში“ და სხვა საყოველთაოდ აღიარებული დებულებები იყო გაზეთის საქმიანობის ძირითადი ხაზი, ამიტომაც „ლელოს“ ფურცლებზე სათანადო ადგილი ეთმობოდა საქაროების, დაწესებულებების, მშენებლობების,

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, ყველა ტიპის სასწავლებლის ფიზკულტურული კოლექტივების დადებითი გამოცდილების გაზიარებას, მათ საქმიანობაში არსებული ხარვეზების მხილვას. ხშირად შეხვედრით რეპრეზენტებს: „სოფლის სპორტი — პრობლემატი, პერსპექტივები“, „სპორტული ბაზების მშენებლობა — № 1 პრობლემა“, „ფიზკულტურა — ჩვენი ეზოში“, ტურნიშმის განვითარებისადმი მიძღვნილი გვერდებს, სპეციალისტთა საუბრებს...

რესპუბლიკის მშრომელებმა წარმატებით დაამთავრეს გასული სამეურნეო წელი. ამას აღსატურებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა საბჭოთა საქართველოს მუშების, კოლმეურნეების, სახალხო

ინტელიგენციის, ყველა მშრომელისადმი. „თქვენი გარჯის ძეგლებით, ძვირფასო ამხანაგებო, ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მაჩვენებლები გასულ წელს გადაჭარბებით შესრულდა. მაგალითად, სამრეწველო წარმოების მოცულობა 1979 წლის მანძილზე 7,2 პროცენტით გაიზარდა, დავალების გადაშეტებით გამოშვებულია 113 მილიონი მანეთის პროდუქცია... კვირთხულობით მიმართვაში, ჩვენი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის წინსვლის ამ და სხვა საინტერესო ფაქტებს.

ცხადია, ამ წარმატებაში სათანადო წვლილი რესპუბლიკის ფიზკულტურულ ორგანიზაციებს, მათ წვერთა მრავალათასიან არმიასაც მიუძღვის. ბევრი შრომის მოწინავე ფიზკულტურული მუდამ გადაჭარბებით ასრულებდა დავალებს, ბევრგან კარგად იყო მშრომელთა გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი, ჯანსაღ კოლექტივს კი პირობის განაღდება არასოდეს უჭირს. „ლელო“ მათ შესახებაც ხშირად წერდა.

მაგრამ წლეულდელი წელი სულ სხვაა, რესპუბლიკის მშრომელთა... უპირველესი ამოცანა

არა მხოლოდ დასახლებულ რაიონებში, არამედ წარმატებით ითაც დაევათავროთ მთელი ხუთწლედი. ამ ამოცანას... მხოლოდ იმ პირობით შევასრულებთ, თუ მაქსიმალურად გავაძლიერებთ წარმოების ტემპს... აღნიშნულია მიმართვაში და იგი რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციებსაც პირდაპირ ეხება. გაზეთი ამ ამოცანების გადაწყვეტისთვის ბრძოლას მთავარ ყურადღებას დაუთმობს.

სხვა მხრივაც ბევრს გვპირდება 1980 წელი — ზამთრის XIII და ზაფხულის XXII თამაშების წელი. იგი რესპუბლიკის ფიზკულტურულ ორგანიზაციებსაც პირდაპირ ეხება, მთლიანად ჩვენი ქვეყნის ნაკრებ გუნდებს ახალ, გავრდილ ამოცანებს უყენებს — იბრძოლონ ყველა უბანზე მხოლოდ სასახელო მაჩვენებლებისთვის.

რესპუბლიკამ ქვეყნის ოლიმპიურ ნაკრებს 60-მდე კანდიდატი მისცა. წლეულს მათ შესახებაც იქნება საუბარი ჩვენი გაზეთის ფურცლებზე, არც სხვა პრობლემები იქნება დავიწყებული.

გაზეთის საქმიანობის კიდევ უფრო გაუმჯობესების მიზნით გადაწყვიტეთ, ძვირფასო მკითხველო, მოგმართოთ თქვენ, რათა აქტიური მონაწილეობა მიიღოთ ჩვენს დაუსწრებელ კონფერენციებში, რომელიც 1 თებერვლიდან 1 აპრილამდე ეწყობა.

რედაქცია ყველა ასაკის სპორტის მოყვარულს, ყველა პროფესიის დამაინს, სპეციალისტებს, ვისთვისაც ძვირფასია საქართველოს, საბჭოთა სპორტის სახელი და დიდება, ყველა მკითხველს ვთხოვთ აქტიური მონაწილეობა მიიღოთ ამ კონფერენციაში, მოგვწერეთ რა მოგწონდათ შარშან ჩვენს გაზეთში, რა არ მოგწონდათ, როგორ ვაკმაყოფილებდით თქვენს სურვილებს, მრავალფეროვანი იყო თუ არა თემატკა, როგორი იყო მასალების ხარისხი.

მოგვწერეთ თქვენი სურვილები, მოსაზრებანი, წინადადებანი, რომლებიც დაგვეხმარება, რომ გაზეთი უფრო მრავალფეროვანი, უფრო შინაარსიანი, უფრო მიზანდასახული, უკეთ გაფორმებული, მიმზიდველი იყოს. რედაქცია საერთო საქმისთვის სასარგებლო ყველა რჩევას სიამოვნებით მიიღებს, რისთვისაც წინასწარ მადლობას გიძღვნი.

წერილები გამოგზავნეთ მისამართით: 380096. თბილისი — 96. ლენინის ქ. № 14. „ლელოს“ რედაქცია. „ამიტხვალთა კონფერენციისათვის“.

რედაქცია ყველა ასაკის სპორტის მოყვარულს, ყველა პროფესიის დამაინს, სპეციალისტებს, ვისთვისაც ძვირფასია საქართველოს, საბჭოთა სპორტის სახელი და დიდება, ყველა მკითხველს ვთხოვთ აქტიური მონაწილეობა მიიღოთ ამ კონფერენციაში, მოგვწერეთ რა მოგწონდათ შარშან ჩვენს გაზეთში, რა არ მოგწონდათ, როგორ ვაკმაყოფილებდით თქვენს სურვილებს, მრავალფეროვანი იყო თუ არა თემატკა, როგორი იყო მასალების ხარისხი.

მოგვწერეთ თქვენი სურვილები, მოსაზრებანი, წინადადებანი, რომლებიც დაგვეხმარება, რომ გაზეთი უფრო მრავალფეროვანი, უფრო შინაარსიანი, უფრო მიზანდასახული, უკეთ გაფორმებული, მიმზიდველი იყოს. რედაქცია საერთო საქმისთვის სასარგებლო ყველა რჩევას სიამოვნებით მიიღებს, რისთვისაც წინასწარ მადლობას გიძღვნი.

წერილები გამოგზავნეთ მისამართით: 380096. თბილისი — 96. ლენინის ქ. № 14. „ლელოს“ რედაქცია. „ამიტხვალთა კონფერენციისათვის“.

რედაქცია ყველა ასაკის სპორტის მოყვარულს, ყველა პროფესიის დამაინს, სპეციალისტებს, ვისთვისაც ძვირფასია საქართველოს, საბჭოთა სპორტის სახელი და დიდება, ყველა მკითხველს ვთხოვთ აქტიური მონაწილეობა მიიღოთ ამ კონფერენციაში, მოგვწერეთ რა მოგწონდათ შარშან ჩვენს გაზეთში, რა არ მოგწონდათ, როგორ ვაკმაყოფილებდით თქვენს სურვილებს, მრავალფეროვანი იყო თუ არა თემატკა, როგორი იყო მასალების ხარისხი.

მოგვწერეთ თქვენი სურვილები, მოსაზრებანი, წინადადებანი, რომლებიც დაგვეხმარება, რომ გაზეთი უფრო მრავალფეროვანი, უფრო შინაარსიანი, უფრო მიზანდასახული, უკეთ გაფორმებული, მიმზიდველი იყოს. რედაქცია საერთო საქმისთვის სასარგებლო ყველა რჩევას სიამოვნებით მიიღებს, რისთვისაც წინასწარ მადლობას გიძღვნი.

● ფიზკულტი


ციგურაობა

კარგად დაიწყეს

გამაგორგში მრწყობილ კონტინენტის ციგურაობის მწიგურულ კვირულში წარმატებით დაიწყო ციგურაობის მსოფლიო ჩემპიონატი. კოვალისკოვმა, რომელმაც საჯალდებულო პროგრამის შესრულებაში 42,72 ქულა დაიმსახურა და მოიპოვა მცირე თქროს მედალი. წყვილთა სრიალში დაწინაურდნენ ი. როდინი და ა. ზაიცკვი. მეორე ადგილზე არის მ. ჩერკასოვსა და ს. შახარის ღუერი.

პროკლამაცია ყველა კვირისა, შეერთებით! № 17 24 1980 წ. იანვარი. (6578) 24 ხუთხაბათი ვახსი 3 კაპ. გაზეთი გამოდის 1984 წლის 13 აპრილიდან

საპარტველოს სსრ მინისტრთა საბავრთბან არსებული ფიკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროკავაჟირთა რასპუბლიკური საბავრს ორგანო



სპორტულ შურანლისტთა საჟურადლეგო! 24 იანვარს, ხალამოს 19 საათზე თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართება თავისუფალ ჭიდაობაში თბილისის საერთაშორისო ტურნირისადმი მიძღვნილი პრიკონფერენცია.



**რეპრეზენტაციის** სპორტული ორგანიზაციების საქმიანობის მნიშვნელოვანი მხარეა მალაი მორალური თვისებების მქონე სპორტსმენების აღზრდა, მათი იდეოლოგიური მომზადება. საქართველოს სპორტსმენები აქტიურად მონაწილეობენ კომუნისტური მშენებლობის ბეგრ უბანზე, მონაწილეობენ თანამედროვე ახალგაზრდობისთვის სინტეზურ სპორტულ პრობლემის განხილვასა და გადაწყვეტაში, წარმატებით გამოდიან სხვადასხვა შეჯიბრებებში, მათ შორის საერთაშორისო სარბიულ-ზეც და ფართო პროპაგანდას უწყვეტ საბჭოთა ცხოვრების წესს, ჩვენი სახელმწიფოს მიღწევებს.

მზრდელობითი მუშაობის განყოფილება, რომლის წინაშე დგას ამოცანა განახორციელოს კონკრეტული ღონისძიებები სპორტსმენებთან ამ მიმართებით მუშაობის გაუმჯობესებისთვის. განსაკუთრებით აქტიურად მონაწილეობენ და ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციებში. დიდი მნიშვნელობა ენიჭება სპორტსმენთა შეკრებისა და ვარჯიშის ადგილებში გუნდების მწვრთნე-

რესპუბლიკის ოლიმპიურ ბაზებში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების როლის ამაღლებას საქართველოს ნაკრებ გუნდებში, უმაღლესი ოსტატობის სკოლებში და სხვა სპორტული ორგანიზაციებში. დიდი მნიშვნელობა ენიჭება სპორტსმენთა შეკრებისა და ვარჯიშის ადგილებში გუნდების მწვრთნე-

კომკავშირული სკოლის მსმენელებს, გაეცნენ ქალაქის ობიექტებს, დიდების მემორიალთან წუთიერი დუმილით პატივი სცეს დიდ სამამულო ომში დაღუპულ კომკავშირელთა სლოგანს. სპორტსმენებს დიდხანს ემასხვრებათ გულთბილი შეხვედრა, რომელიც გაიმართა დიმიტროვის საავიაციო ქარხნის სპორტის სასახლეში ამიერ ქარხნის ახალგაზრდა მშრომელებთან და სპორტსმენებთან.

ოლიმპიურ წელს გუნდის წინაშე მდგარი ამოცანები. ნაკლოვანებების მიმართ კრიტიკული მიდგომა, მაღალი პასუხისმგებლობის გრძობა, პრინციპულობა — საყვარელ სპორტის სახეობაში მყარი პოზიციის დაბრუნებისთვის — კოლექტივის ბრძოლისუნარიანობის დამადასტურებელია. სპორტსმენებთან საქმის ცოდნითა და კონკრეტულად დაყენებული იდეოლოგიური მუშაობა კარგ ნაყოფს იძლევა. ალბათ ამ საკითხს უნდა დაუფიქრდნენ იმ სპორტული ორგანიზაციის ხელმძღვანელები და მწვრთნელები, რომლებიც შესაფერისად არ აფასებენ სპორტსმენებთან იდეოლოგიურ მუშაობას, ხანდახან კი მთლიანად უგულებელყოფენ მას. შრომით კოლექტივებთან კავშირის დამყარება და განმტკიცება, აგრეთვე იდეოლოგიური მუშაობის სხვა ფორმები, უდავოდ, ხელს შეუწყობს სპორტული შედეგების მკვეთრ გაუმჯობესებას.

# აღზრდელობით მუშაობას — ახლებსური მიდგომა

„პარტიული კომიტეტებმა, საკავშირო პროფსაბჭომ, საკავშირო აკადემიურმა კომიტეტმა, საკავშირო სპორტკომიტეტმა, ღონისძიების ცენტრალურმა კომიტეტმა უნდა მიიღონ დამატებითი ზომები მასობრივ-ფიზკულტურული მოძრაობის განვითარებისთვის, სპორტული ოსტატობის ამაღლებისთვის, ფიზკულტურულ-სპორტული და სპორტსმენებში აღზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისთვის...“ — მითითებულია ს.კ. ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „იდეოლოგიური და იდეურ-აღზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ.“ ამის მოწოდებებს სპორტულ მუშაკებს იდეოლოგიური მუშაკთა საკავშირო თათბირის გადაწყვეტილებებიც, სადაც მითითებულია იდეოლოგიური, პოლიტ-აღზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების გზები.

აღზრდელობითი მუშაობის ეფექტი მიიღწევა იქ, სადაც უზრუნველყოფილია საორგანიზაციო-სპორტული და იდეოლოგიური მუშაობის ერთიანობა. სპორტსმენებთან იდეოლოგიური და პოლიტ-აღზრდელობითი მუშაობაზე დღეს დიდადა დამოკიდებული მათი სპორტული მიღწევები, მათი შესაძლებლობების სრული გამოვლენა. ს.კ. ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების მიხედვით შემდეგ შესამჩნევად გააქტიურდა სპორტის სახეობების მიხედვით საქართველოს ნაკრებ გუნდებთან, ოლიმპიურ ნაკრებებს კანდიდატებთან მუშაობა. სინტეზურ სკოლისთვის კომპლექსური ჩატარდა მძლეოსნობასა და ზამთრის სპორტის სახეობებში ოლიმპიური ნაკრებების კანდიდატებთან, რომლებიც შეკრებას გადიოდნენ

ლებს, პარტიული კომიტეტების, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების დახმარებას. უნდა აღინიშნოს თავისუფალ ჭიდაობაში საქართველოს ნაკრები გუნდის ხელმძღვანელობის საქმიანობა, რომელიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სპორტსმენებთან აღზრდელობით მუშაობას. აქ ნაყოფიერად იყენებენ სპორტსმენთა თავისუფალ დროს, რაც თავის მხრივ დადებითად მოქმედებს სპორტსმენთა ფიზიკური მზადობისა და სპორტული დასწრება კინოთეატრებში და ნახანს ფილმების განხილვა, ექსკურსიები, შრომითი კოლექტივებთან შეხვედრები. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო ექსკურსია კომკავშირული ქალაქ ბორის ძნელაქში, სადაც სპორტსმენები შეხვედნენ

ამ შეხვედრის ორგანიზატორებმა — საქართველოს სპორტკომიტეტმა და ქარხნის კომკავშირის კომიტეტმა, რაიონის სპორტკომიტეტთან ერთად ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ სპორტსმენთა და დიმიტროვი მშრომელთა შეხვედრა მაღალ დონეზე ჩატარებულიყო. მოჭიდავეთა საჩვენებელი გამოსვლები, საქართველოსა და დიმიტროვის ქარხნის ნაკრები გუნდების წყურთა ორთაბრძოლები, თვითმომქმედი კოლექტივის კონცერტი, გულითადი საუბრები ახლდა თან ახალგაზრდობისა და სპორტის ამ მეგობრულ შეხვედრას.

**მ. ჰაპლაშა,**  
საქართველოს სპორტკომიტეტის პროპაგანდისა და აღზრდელობითი მუშაობის განყოფილების უფროსი.

**ს უ რ ა თ ე ბ ე ე :** დიმიტროვილები და საქართველოს თავისუფალ მოქიდავეთა ნაკრები გუნდის წევრები; მსოფლიოს ორგანიზაციის ჩემპიონი, სპორტის დასახლებულ ოსტატი გ. სალარაძე ესაუბრება ქარხნის თავისუფალი ჭიდაობის სექციის წევრებს ნ. ხითარაძესა და ნ. მეტრეველს; ორთაბრძოლის მომენტები. რ. ზუკაიშვილის ფოტოები.

## ნარმატება გრონიგენში

გვესაუბრება ზაზუტა შორის ევროპის ჩემპიონატის ვარცხლის მქონე მფლობელი ზურაბ ახმადიაშვილი

1979 და 1980 წლების მიჯნაზე ჰოლანდიის ქალაქ გრონიგენში გაიმართა ჰაზუტა შორის ევროპის ჩემპიონატი. მასში საბჭოთა ოსტატები ხარკოველი ე. ჩერინი და თბილისელი ზ. ახმადიაშვილი მონაწილეობდნენ. ორი-ოდე დღის წინ ზ. ახმადიაშვილი ეწვია „დედოს“ რედაქციას. ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა თბილისელ მოქალაქეს და ესაუბრა მას.

**გრონიგენში** საქართველო ტრადიციების ქალაქია. აქ დიდ სავაჭრო-საბაზრობო ტურნირი პირველად 1946 წელს მოეწყო. მასში მიხეილ ბოტუნიკოვი გაიმარჯვა და იგი მსოფლიო ჩემპიონის სახელის მთავარი ფაქტორი გახდა. იმდროინდელი გრონიგენში 1972 წელს ჰაზუტა შორის ევროპის კონტინენტის ჩემპიონარი ტარდება.

დღემდე რვაჯერ შეხვედნენ ერთმანეთს ევროპელი ჰაზუტა მოქალაქეები. ჩემპიონები იყვნენ: 1972 წელს უნგრელი დიულა სანქსი (დღეს მსოფლიო პირველობის პრეტენდენტი რომ არის), 1973 წელს — ლიუბლინელი ოლიგრომანიშინი, 1974 წელს — მოსკოველი სერგეი მაკარინი, 1975 წელს — ინგლისელი იონ ნუნი, 1976 წელს — ლიხინგარდელი ალექსანდრე ონიკი, 1977 წელს — ჩეხი ოლიგრომანიშინი, 1978 წელს — ინგლისელი ჰაზუტა მოქალაქეები, 1979 წელს — სლოვაკელი ვან დელ ვილი. სინტეზურად, რომ პირველი ხუთი ჩემპიონი ამჟამად უკვე დიდოსტატებია.

ჩემპიონატი 20 დღემდე გაგრძელდება. სახეობა იქნება ბიოსა და სხვა.

ნიალს დაესწრნენ ოდიეს პრეზიდენტი დიდოსტატი ფრიდრიხ ოლაფსონი (ისლანდია) და ოდიესს აკრედიტებული მდივანი ქალბატონი ინეი ბაიერი (ჰოლანდია). შეჯიბრებაში 30 ქვეყნის 32 მოქალაქე ჩაება. ტურნირი შეიკრებოდა სისტემატურად, რამდენიმე ტურნირი მოქალაქე გაეყავა. მარამ ეს როდი გააშინებდა. იცოდით, რომ სწორედ მათთან ჰოლანდიაში უნდა მიგვეყვინა საწვადისთვის. სტარტი წარმატებით ავიდეთ — ზეიზელ ოთხი პარტია მოვიგე. V ტურში იტალიელ სანასთან შეხვედრა ყალიბით დაამთავრე და ალექსანდრე ჩერინი დაამეფა. VI ტურში ჩვენი პარტია სწრაფად დაამთავრე ყალიბით. მერე ორივემ გაიმარჯვეთ.


პირველი ძნელი მეტოქე მყავდა VIII ტურში — ესპანელი მანუელ რიგასი. მას სავაჭრო-საბაზრობო დიდოსტატის ერთი ბალი აქვს, რომელიც გრონიგენში ჩამოსვლამდე მიიღო ესპანეთის ერთ-ერთ სავაჭრო-საბაზრობო ტურნირში. სხვათა შორის, ამ ტურნირში მან კორჩინო დაამარცხა. რიგასთან ძალიან მწვავე ჰობილი მქონდა, რომელიც ბოლოს ყალიბით დასრულდა. ჩერინმა ათასობით თამაშის შემდეგ მოუგო შედეგს და ერთობროვნულად დაწინაურდა.

მომდევნო ორ ტურში ჩერინმა ორი ქულა მოაგროვა, მე — ექვსი. XI ტურში ორი-ვე ყალიბს დავგვრდით. მეორე დღესაც ჩერინი ყალიბით დაამარცხა. მე კი მისი დაწვევის საშუალება მომიცა და შევედ

ფრანსონს მოგებაზე ერთამაშე. თავიდან კარავდ ამეწყობ თამაში და მოგების შანსიც მივიღე. ფიქრობდით, გადამეღო პარტია და მერე მე თვითონ მომიგო. ეს დიდი შეცდომა აღმოჩნდა, რადგან თამაშს განგებ გაქაინებდით. ერთ მომენტში იყო ისევე, როგორც და... წაიგე. ჩერინმა, რომელსაც ამ დროს 10 ქულა ჰქონდა, ჩემპიონის სახელი გადასცემდა. მე აუცილებლად უნდა მომიგო დასავლეთის ტურში, რომ ვერცხლი მე დავალო მანამდე მარჯობდა. საწვადის მივიღე.

რა თქმა უნდა, შედეგით გამოყოფილი ვარ, პარტიებიც იყო და არ მითამაშია. აი, მაგალითად, შეხვედრა შევედ თომას ერუნსთან:

**ნარმატება — ახმადიაშვილი**  
სიცილიური დაცვა  
1. e4 e5 2. მf3 d6 3. d4 cd 4. მ:4 მf5 5. მ:3 ა6 6. ეგ5 e6 7. f4 მbd7 8. ლe2  
სინტეზურად სვლა. აქ თეორიული გაგრძელება 8. ლf3.  
8. ...ლc7 9. 0-0-0 ე7 10. გ4 h6?  
აქ ჯობდა 10. ...b5 11. ეგ2 b4 12. e5 bc 13. ef გf 14. ე:ა8 fg და შევებს ხარისხში საკმაოზე მეტი კომპენსაცია აქვთ.  
11. ეh4 გ5 12. fg მh7 13. მf5! ეს ტიპური „სიცილიური“ შეწყობაა. რომელიც გამოყენებულია საუკეთესო შემთხვევაში.  
13. ...ef 14. მd5 ლd8. 15. ef მe5!  
უვარდისაა 15. ...hg 16. ეგ3 მh6 17. მ:f6 + მ:f6 18. ე:d6 და თეორიულ მოგებულ პარტია აქვთ.




ჰადრაიები, რომელთა სახილვები მალე დიდ შეჯიბრებებშიც გამოჩნდება. ესპანელი რიგასის გარდა მომიწონა რუმინელი ნეკულესკუ (მან III ადგილი დაიკავა), პოლანდიელი დოუჟინი, რომელიც ძალიან პერსპექტიული ჩანს. ძლიერი მოქალაქეა ინგლისელი პლასკიტი. მას რაჭოთაური ბრძოლა იტარებს. პლასკიტმა ჰაზუტა შორის მსოფლიო პირველობაში III-V ადგილები გაიჭო. ყველა ამ მოქალაქეს თამაშისადმი პროფესიული მიდგომა ახასიათებს.

ევროპის ახალ ჩემპიონს ჩერინს სავაჭრო-საბაზრობო ოსტატის წოდება მიეკუთვნება. ჩერინი ხარკოვის პოლიტექნიკური ინსტიტუტის III კურსის სტუდენტია. საუკებოდ იცის თეორია, თამაშის აკადემიური (პოზიციური) სტრატეგია. ალექსანდრე კარავ ახმადიაშვილს. ჩერინს მწვრთნელთან ოსტატ ანატოლი ბინოვისთან ერთად ვიმუშავებდით ყოველი შეხვედრისთვის.

ჩემპიონატის სახეობო დახურვას მსოფლიოს ექს-ჩემპიონი დიდოსტატი მაქს იიჯი დაესწრა. ხოლო გასაქმების მან ვერ წარმოთქვა ჩემი გარი, გაუჭირდა და გაიღიმა. გამოვიდეს II ადგილის მფლობელი, რომლისავე მივიღე, მიიღო ქართული ხარ, თბილისიდან, რთაც მაგარმდინა, რომ ვიცნობ თქვენს მხარეს და მოქალაქეებს. შინ დაბრუნებისას, როგორც პოლანდიელი ჩასვლის დროს, ორი დღე ამსტერდამში დავიჯი და ბეგრის სინტეზურად ვახმადიაშვილს მოსკოვში გამოვლისას მე და ჩერინი მიგვიწვიეს ახალგაზრდა საბჭოთა ოსტატთა საკავშირო ჩემპიონატში, რომელიც 25 იანვარს რიგაში უნდა დაიწყოს. ჩერინმა თამაშე უარი განაცხადა. მე მივწვიე მივიღე.

**საუბარი ჩაიწერა თ. გიორგაძემ.**



სსრ კავშირის  
47-ე ჩამაგრება

# გაგაჩვიებით დაიწყეს

კაუნსის „სპორტ ჰალს“ დარბაზი. 22 იანვარი.

„დინამო“ (თბილისი) — რტი (მინსკი) 87:86 (51:39, 78:78).

„დინამო“: ი. ძიძიგური (6), ვ. ძიძიგური, ბიჭიაშვილი (21), ჩხილაძე (7), ნ. ქორჭია (6), დერიუგინი (20), პულავეცი (13), სინჯარაძე (4), გულდერაზა (10).

რტი: იაკუბენკო, ვარფიანოვი (7), უდე (13), გარუზი (30), კნაბე, ეფემოვი, კრასნიცი (12), ხატიროვი, შერევერა (13), კრახენკო, პუსტოვარი (12).

მსაჯეები: ა. ავაფონოვი (ტალინი), ფ. მატკოვსკი (კიშინიოვი).

კაუნსის „სპორტ ჰალს“ 3-თასიან დარბაზში განახლდა კალათბურთულ კლუბთა საქართველოს ჩემპიონატი.

დიდი ხანა მატჩის დებიუტი „დინამოს“ ასე კარგად არ ჩატარებია. მშვენივრად დაიწყო შეხვედრა სასტარტო ხუთეულმა — პულავეცი, ბიჭიაშვილი, დერიუგინი, ჩხილაძე, ნ. ქორჭია. პირველი ტაიმის მე-14 წუთისთვის თბილისელი კალათბურთელები 18 ქულით დაწინაურდნენ — 40:22. მინსკელთა მწკრივებმა კოლოსმა ყველა დონე იხმარა, ორი წუთისთვის მათი უკუგადასვლა, სასტარტო ხუთეულიც მთლიანად შეცვალა, მაგრამ „დინამო“ ვერ შეეჩერა. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ მეტოქეს იმედოვნებდა და დასაწყისში მარცხდებოდა...

ტაიმის დასასრულს სტუდენტმა კალათბურთელებმა 12 ქულამდე შეამცირეს სხვაობა (39:51), მეორე ტაიმის დასაწყისიდან კი უფრო გააქტიურდნენ. პირველ წუთებზე 5 პერსონალური შენიშვნების გამო მოედანი დატოვეს ნ. ქორჭიამ, დერიუგინიმ, პულავეცმა. მეორე მათი ხვედრი ბიჭიაშვილმაც გაიზიარა. განსაკუთრებით დასანანი იყო ნოდარ ქორჭიას გამოკლება, რადგან იგი მინსკელთა მთავარ ბომბარდირს გუზიკს დარაჯობდა. სანამ ნოდარი მოედანზე იყო, გუზიკმა მხოლოდ 6 ქულა შეისანი კოლექტორმა, მერე კი — 24. შეხვედრის ბედი ი. ძიძიგურს, ვ. ძიძიგურს, სინჯარაძეს, გულდერაზასა და ჩხილაძეს უნდა გადაეწყვიტათ.

მატჩის შემდეგ მოსემილი იტყვის: „გუყურებდი მოედანზე და რჩენილ კალათბურთელებს და ერთს ვგეჟობდი — რას უნდა ქსნა გუნდი. ალბათ უსაზღვრო თავდადება.“

სწორედ ასეც მოხდა. მატჩის დამთავრებამდე ორიოდე წუთით ადრე „დინამო“ 7 ქულას იგებდა, მერე კი ანგარიში გათანაბრდა და რტი წინაც გავიდა — 78:76. დარჩენილ დროში გულდერაზა ზუსტი ტყორცის წყალობით დაინშნა დამატებითი დრო.

თბილისელთა შეთხვედრულმა შედეგებმა მართლაც თავდადება ითამაშა და მეტად საჭირო გამარჯვება მოიპოვა — 87:86.

კაუნსის ტურის დანარჩენი ორი შეხვედრა ასე დამთავრდა: „სტროტელი“ (კიევი) — ვიფი (რიგა) 89:90 (48:48, 82:82), „უალგირისი“ (კაუნსი) — „სტარტინა“ (ვილინიუსი) 85:91 (39:50).

ჯ. სპირალი,  
(ჩვენი სპეც. კორ.)

კალათბურთი

ზარზანდელი საკალათბურთო სეზონი საქართველოს მდიდარი იყო საერთაშორისო ტურნირებით — ევროპის ჩემპიონატის თასების გათამაშება, უნივერსიადა მენიკოში, ბალკანეთის ჩემპიონატის ჩემპიონატი საბერძნეთში, ხმელთაშუა ზღვის ჩემპიონატის ჩემპიონატი იუგოსლავიაში, მსოფლიოს ჩემპიონატი ახალგაზრდებს შორის ბრაზილიაში, ევროპის იუნორთა ჩემპიონატი სირიაში, საკონტინენტაშორისო თასის გათამაშება საკლუბო გუნდებს შორის ბრაზილიაში, საკონტინენტაშორისო თასის გათამაშება ნაკრებ გუნდებს შორის, ანუ როგორც მას უწოდებენ „ანტონო დეს რეის კარიეროს“ თასი და, ბოლოს, ევროპის XXI ჩემპიონატი იტალიაში. წმინდა ტრენინგური შედეგების გარდა ამ ტურნირებში მოგვიყენა საქართველოს მდიდარი და მრავალფეროვანი მასალა მოსკოვის ოლიმპიადის წინ ევროპის კალათბურთის მდგომარეობის ანალიზისთვის. სწორედ ამ საკითხებს მიეძღვნა საქალათბურთო კომისია აიპის-ს (ფიბა-სთან ერთად) მიერ ჩატარებული სესია „მრავალ მადიდისთან“.

საბჭოთა კავშირის და ჩეხოსლოვაკიის კალათბურთელები წარმატებით გამოვიდნენ საკონტინენტაშორისო თასზე და ევროპის ჩემპიონატზე. იუგოსლავიის, იტალიის და ესპანეთის ლუბებმა კი წარმატებით ინსპირირებულ ევროპის თასების გათამაშებაში. ყველაფერი ეს იმას მოწმობს, რომ ევროპის კალათბურთში ამინდს კვლავინდებურად ჰქმნის ძველი გრანდები — საბჭოთა კავშირის, იუგოსლავიის, ჩეხოსლოვაკიის, იტალიის და ესპანეთის ნაკრები გუნდები, მაგრამ, როგორც იტალიაში გამართულმა ევროპის ჩემპიონატმა დაგვიანხა, დისტანცია ლიდერებსა და დანარჩენ გუნდებს (პოლონეთი, საფრანგეთი, საბერძნეთი, ბოლანდია) შორის თანდათან მცირდება.

რა ტენდენციები შეიმჩნევა თანამედროვე ევროპულ კალათბურთში? ამერიკულმა მწკრივებმა დღევანდელი გარემო (კარაულობენ, რომ აშშ-ს ნაკრებს მოსკოვის ოლიმპიადისთვის იგი მოამზადებს და ალბათ ამიტომ იყო, რომ მას ევროპის ჩემპიონატის არც ერთი მატჩი არ გამოუტოვებია) უპირველეს ყოვლისა აღნიშნა, რომ გუნდების უმრავლესობა ზუსტად ასრულებს ტყორცებს საშუალო და შორი მანძილიდან. სწავლათა შორის მან დასახელა ს. ბელოვი, ა. მიშკინი (სსრ კავშირი), დ. კიხანოვიჩი, მ. დელიბაშიჩი (იუგოსლავია), კ. გრამინევი (ჩეხოსლოვაკია), კ. აკერბომი (პოლონდია), ლ. კარარო (იტალია), ე. კივიცი (პოლონეთი), მ. ბერკოვიცი (ისრაელი) და ს. იანტოვსკი (საბერძნეთი). ამ კალათბურთელებისთვის შედეგანობა დამახასიათებელი არა მარტო ერთ რომელიმე მატჩში, არამედ მთელი სეზონის განმავლობაში. სულ უფრო და უფრო ხშირად გვხვდება თამაშები, სადაც უკანასკნელ წამებზე ცენტრიდან ან მოედნის საკუთარი ნახევრიდან ნახლო ბურთი ზუსტად ეშვება მეტოქის კალათში. მოკვირვანთ რამდენიმე მაგალითს ევროპის უკანასკნელი ჩემპიონატიდან. იუგოსლავიელებთან მატჩის უკანასკნელ წამებზე პოლონელმა დ. ჟელიჩმა ცენტრიდან ჩააგდო ბურთი. ბულგარელებთან მატჩში თავი გამოიჩინა პოლონელი ი. დევიჩმა, ხოლო საფრანგეთის ნაკრების წევრმა ე. სენგალმა ბერძნების კალათში ბურთი მოათავსა მოედნის საკუთარი ნახევრიდან.

გეგმის აზრით ევროპის კალათბურთის განვითარებაში ნიშანია ახალგაზრდა და გამოცდილი კალათბურთელების ორგანიზებული შეტევა, მაშინ როდესაც

აშშ-ს ნაკრებში, როგორც წესი, 17-25 წლის სპორტსმენები თამაშობენ.

უნდა ითქვას, რომ „ობტინალური ასაკის პრობლემა“ საკონტინენტებს შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. იუგოსლავიელ მწკრივებს მ. ნოვოსელს უნდასადას სთქვოდ მიანიჭა გუნდში 30 წელს გადაცილებულ მოთამაშეთა მიწვევა. ამას იმით ხსნის, რომ 30 წელს გადაცილებულ სპორტსმენებს არ შეუძლიათ მისცენ კალათბურთის რამე ახალი. საბჭოთა კალათბურთის ს. ბელოვის თამაში ერთ-ერთი ყველაზე კარგი არგუმენტი ნოვოსელის მოსაზრების მცდარობის დასადასტურებლად. საიმედო და შინაარსიან თამაშს უჩვენებს ჩვენი ნაკრების მეორე ვი-

ერთმა ვეტერანმა დ. მენგინმა. იგი „სკუადრა ატურას“ ნამდვილი ლიდერი იყო.

ვეტერანთა გვერდით უნდა აღინიშნოს ახალგაზრდა კალათბურთელებიც. ევროპის ჩემპიონატში ესპანეთის ნაკრების ახალგაზრდა წევრების ე. სან-გუბინოს (19 წლის, 200 სმ), ე. ლორენტესი (20, 187) და ე. იტური-აგასი (20, 196) ჩინებულ თამაშზე უკვე გავრცელდა საუბარი. მათ შარშან იტალიაში გამართულ იუნორთა ევროპის ჩემპიონატის დროს მიიპყრეს სპეცილისტების ყურადღება. დამცველი ლორენტე ძალზე დიდ სამუშაოს ასრულებს. მის ანგარიშზეა მრავალი ლამაზი ჩაქრა. არის თითქმის ყველა სწრაფი გარღვევის მონაწილე, უაღრესად შედეგიანი.

უძლია დიდი სისწრაფით შეიქრას მეტოქის ფარეგეზს. რეკის „არეგონას“ ერთ-ერთი ლიდერია ბლენკინი (20,192). მისი მსოფლიო-ველები უნდა იქნებოდნენ ნაკრებში დიდი ხნით შორეულად. ბლენკინი ძალიან კარგად თამაშობს დაცვაში. შემთხვევით არაა, რომ მას ხშირად ანდობენ მოწინააღმდეგის საუკეთესო სწავლებლების მეურვეობას. ამავ დროს იგი არ იფიქრებს თავდასხმას. ბრუნამონტიზე და სავსებით იტალიის ნაკრებზე „ტიფოზები“ დიდ იმედებს ამყარებდნენ, მაგრამ ჩემპიონატმა მათ იმედები გაუქურა. „სკუადრა ატურას“ წარუმატებლობის ერთ-ერთი მიზეზი, ჩვენი აზრით, წამყვანი კალათბურთელების პ. მარზორატის, რ. ბარტიგერას და ფ. დელ-ფორის ტრაგედიები იყო.

ევროპის კალათბურთელებში ამერიკულ კალათბურთელთა მოზარდეობა ძველი სამყაროს კალათბურთის ერთ-ერთი შინაგნული პირობებია. ამ საკითხს აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარე. დასავლეთ ევროპის ჩემპიონატის ახალგაზრდა კალათბურთელები ამერიკელი ვარსკვლავების გარდა სრულყოფილი თაინთ ისტატობას. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ამერიკელთა მონაწილეობა სანახაობრივ სილამაზეს მატებს ევროპულ ჩემპიონატს და ევროპის თასების გათამაშებას. ეს, რა თქმა უნდა, კარგია. მაგრამ კლუბებში ლიდერების როლში, როგორც წესი, ამერიკელი კალათბურთელები გამოდიან, ადგილობრივი მოთამაშეები კი მეორეხარისხოვანი როლს თამაშობენ და ძირითადად უცხოელთა ასისტენტებად გვევლინებიან, რაც ბუნებრივია, უარყოფითად მოქმედებს ნაკრებ გუნდებზე. მწკრივებებს ძალიან უჭირთ ხანმოკლე საწვრთნელი სპორტების დროს გარდაქმნა სპორტსმენის ფსიქოლოგია და გადააქციონ იგი ასისტენტიდან ლიდერად. მ. დავილოვის აზრით, სწორედ ამით აიხსნება პოლონდის, საბერძნეთის, ბელგიის, ფინეთის, შვეიცარიის, ავსტრიის ნაკრებების წარუმატებლობა ევროპის ჩემპიონატის სხვადასხვა ეტაპზე.


დასრულებული საქალათბურთო სეზონის დამახასიათებელი თავისებურება იყო „ზონური“ დაცვით გატაცება. ნოვოსელს მიანიჭა, რომ ეს არის უკან გადადგმული ნაბიჯი კალათბურთის ტაქტიკაში. განსხვავებულ პოზიციაზე დგანან სტანკოვიჩი და გეიტი. აღსანიშნავია, რომ აშშ-ს უკანასკნელ სტრუქტურულ ჩემპიონატში გამარჯვებული მიჩიგანის უნივერსიტეტის გუნდი ყოველ მატჩში თამაშობდა ზონურ დაცვას — 2-3. ზონური დაცვის დროს, როგორც აუტრბახი აღნიშნავს, პერსონალური შენიშვნების რიცხვი კლებულობს.

საინტერესო საუბარი გაიმართა „მარად უკვდავი თემის“ მსახობის გამო. აღნიშნა, რომ მსახობა წლეულს მალე დონეზე იდგა, რასაც დიდად შეუწყობ ხელი ფიბა-ს მიერ ჩატარებულმა სემინარებმა. ვარაუდობენ, რომ მომავალში ეს სემინარები გახდეს ზონალური (ენობრივი ნიშნის გათვალისწინებით), რომელსაც საკლუბო დონაზე დაესწროთ არა მარტო საერთაშორისო კატეგორიის არბიტრები, არამედ ნაკრები გუნდების და კლუბების მწკრივებშიც.

სავსებით კი, წლევიდელი საქალათბურთო სეზონის მაგალითზე ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: ევროპის კალათბურთის სავსებით დონე გათანაბრდა, რაც მისი პროგრესის უტყუარი დასტურია.

ა. კალანდამა.

## ევროპული კალათბურთის ტენდენციები



ტერანი, 35 წლის ა. ჯარმუხამე-დოვი. ევროპის ჩემპიონთა თასის და ევროპის ჩემპიონატის მატჩებში შესანიშნავად თამაშა 32 წლის ესპანელმა კალათბურთელმა ე. ბრაბენდერმა. ძლიერად ჩაატარა წლევიდელი სეზონი იუგოსლავიის ნაკრების ვეტერანმა 31 წლის კ. ჩოსჩიმა. მან, როგორც მომომხილველმა (ლაკოვიჩი, ტრევისანი) აღნიშნავენ, საუკეთესოდ ჩაატარა იტალიის ჩემპიონატის მატჩები და დიდი წვლილი შეიტანა „სინფინეს“ წარმატებაში. ევროპის ჩემპიონატში იუგოსლავიელთა წარუმატებლობამ, ვეფერობთ, დაჩრდილ ჩოსჩისი კარგი თამაში. იგი ახლა კიდევ უფრო ზუსტად ტყორცის საშუალო მანძილიდან, უფრო ეფექტურად ახერხებს კონტრშეტევის ორგანიზაციას, ფლობს მილიმეტრებამდე გამოთვლილ გრძელ პასს და ბრწყინვალე დრიბლინგს, რასაც მისი ასაკისა და სიმაღლის კალათბურთელისთვის გასაოცარი სისწრაფით ასრულებს. კარგად ითამაშა ევროპის ჩემპიონატში კიდევ

არცთუ ისე იშვიათად ეუფლება ფარიდან ასხლეტილ ბურთებს. სან-გუბინო მშვიდი, საკუთარ თავში დარწმუნებული სწავლავია. დიდებულად გადის მეტოქის ფარეგეზს. იშვიათად შეთხვევია, რომ მან თამაშში 20 ქულაზე ნაკლები მოაგროვოს. ლორენტე და სან-გუბინო დე ლა კრუსთან (25, 204) ერთად იყენებენ საბჭოთა კავშირის ნაკრებთან ესპანელების გამარჯვების სულისჩამდგმელებს. ტრენინგით გამოარჩევა იტალია. გასაგებია, რომ ესპანეთის ნაკრების ხელმძღვანელობა დიდ იმედებს ამყარებს ამ პერსონაჟებზე. მათგან უნდა მომავალ სპორტულ ბატალიებში და, რა თქმა უნდა, პირველ რიგში მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებში.

სპეცილისტების ყურადღება მიიპყრო იუგოსლავიის ნაკრების თავდამსხმელის მ. ნაიჩისი (24,203) თამაშში. მ. დავილოვის აზრით, იგი ძალზე წააგავს ცნობილ ჩეხოსლოვაკელ თავდამსხმელს ს. კროპილას. ის წარმატებით მონაწილეობს კონტრშეტევებში, აქვს მალე ნახტომი, შე-

სანდერ გუნი ვილაპორაზი	
პანაღაში, სოფელ სანდერ გუნი (სეკოვის ხეობა) ტრამპლინზე გაიმართა „მფრინავ მოთხილამურთა“ მსოფლიო თასის გათამაშების VIII და IX ეტაპის შეხვედრები. შესანიშნავად გამოვიდნენ ავსტრიელები. 70 და 90-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში პირველობა მოიგო „თხილამურები“ ფრენაში“ მსოფლიოს ჩემპიონმა, 22 წლის ა. კოვლეტმა.	ბი 90 და 89,5). მეორე ადგილზე გავიდა საფრანგეთის ოლიმპიური გუნდის ლიდერი ბ. მულე—254,7 (86,5 და 94,5 მ). შემდეგი სამი ადგილი ისევ ავსტრიელებს (ა. გროიერი, ტ. ინაუერი, პ. ნოიპერი) ერგო.
მეორე დღეს კვლავ 90-მეტრიანი ტრამპლინიდან შეხვედრებშიც კვლავ მეტი — 247,5 ქულა მოაგროვა. მან 115 და 110 მეტრზე „ფრენა“. ნოიპერი მეორე ადგილზე გავიდა — 241,1 ქულა (112 და 109,5 მ), ინაუერი — მესამეზე — 234,8 (108 და 109 მ).	ლაში ლიდერობს ნოიპერი, რომელსაც 127 ქულა აქვს, მეორე ადგილზეა კოვლეტი — 84, მესამე ადგილს იკავებს გროიერი და ბაიონელი ხიროკაძე.
გუნდურ ჩათვლაში წინ ავსტრიელები არიან — 412 ქულა. შემდეგ მოდიან იაპონიისა (196) და რუსის (191) კოლექტივები.	გუნდურ ჩათვლაში წინ ავსტრიელები არიან — 412 ქულა. შემდეგ მოდიან იაპონიისა (196) და რუსის (191) კოლექტივები.
X და XI ეტაპის შეხვედრებში უმასპინძლებს ზაქოპაძე. ეს ასპარეზობანი შაბათსა და კვირას მოეწყობა.	საქართველოში მოთხილამურეთა მორიგი სპეციალიზი-
<b>ლიტუელი კანდიდატი</b>	<b>ლიტუელი კანდიდატი</b>
გამიბრტა ნორვეგიელ მოთხილამურეთა მორიგი სპეციალიზი-	გამიბრტა ნორვეგიელ მოთხილამურეთა მორიგი სპეციალიზი-

### გამომავალი კლასიფიკაცია

„ფუბოლ-კოპის“ ბოლო ნომერში საინტერესო წერილი გამოაქვეყნა მოსკოველმა ფეხბურთის სტატისტიკოსმა ბ. ხავინმა. მან თავის არქივში იპოვა სსრ კავშირის 33 საუკეთესო ფეხბურთელის სია, რომელიც იმ დროს ოფიციალურად შედგა, მაგრამ არ გამოქვეყნდა იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირის ნაკრებმა მარცხი იწვნია პელსინკის ოლიმპიურ თამაშებში. ამასთან ერთად ლიკვიდაცია მისცეს ნაკრებ გუნდსაც.

ეს სია თავისთავად საყურადღებოა და გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს ფეხბურთის სტატისტიკოსთათვის.

მაშ ასე, სსრ კავშირის 33 საუკეთესო ფეხბურთელი 1951 წლის შედეგების მიხედვით:

- მეორე რაუნდი**
1. ლ. ივანოვი („ზენიტი“, ლენინგრადი)
  2. ვ. ნიკანოროვი (ცდკა)
  3. ვ. მარანია („დინამო“, თბილისი)
- მარჯვენა მცველები**
1. ვ. ჩისტოვოლოვი (ცდკა)
  2. ვ. მეტელსკი (ვვს)
  3. ნ. დეგტაროვი („შახტიორი“, სტალინი)
- ცენტრალური მცველები**
1. ა. ბაშუკინი (ცდკა)
  2. კ. კრიუკოვი (ვვს)
  3. ნ. ძიანაშვილი („დინამო“, თბილისი)
- მარცხენა მცველები**
1. ი. ნიკოლოვი (ცდკა)
  2. ა. გომელსკი („ტორპედო“, მოსკოვი)
  3. ი. სედოვი („სპარტაკი“, მოსკოვი)
- მარჯვენა ნახევარმცველები**
1. ა. ვოლოგინი (ცდკა)
  2. ო. ტიშკოვი („სპარტაკი“, მოსკოვი)
  3. ა. ალპატოვი („შახტიორი“, სტალინი)
- მარცხენა ნახევარმცველები**
1. ა. პეტროვი (ცდკა)
  2. ი. ნეტო („სპარტაკი“, მოსკოვი)
  3. გ. ანათაი („დინამო“, თბილისი)
- მარჯვენა ბარემარბები**
1. ა. გრინინი (ცდკა)
  2. ვ. ტროფიმოვი („დინამო“, მოსკოვი)
  3. მ. ჯოჯუა („დინამო“, თბილისი)
- მარჯვენა შუამარბები**
1. ვ. ნიკოლოვი (ცდკა)
  2. ვ. მარიუტინი („ზენიტი“, ლენინგრადი)
  3. ვ. ვოროშინოვი („კრ. სოვეტოვი“, კუბინსკი)
- ცენტრალური თავდასხმელები**
1. ა. გულევსკი („კრ. სოვეტოვი“, კუბინსკი)
  2. ა. პონომაროვი („შახტიორი“, სტალინი)
  3. ნ. სიმონიანი („სპარტაკი“, მოსკოვი)
- მარცხენა შუამარბები**
1. ა. დოლობეროვი („დინამო“, თბილისი)
  2. ს. სალნიკოვი („დინამო“, მოსკოვი)
  3. ვ. სოლოვიოვი (ცდკა)
- მარცხენა ბარემარბები**
1. ვ. დიომინი (ცდკა)
  2. ა. ივანოვი („ზენიტი“, ლენინგრადი)
  3. გ. ბორზენკო („ლოკომოტივი“, ხარკოვი).

### უხვარი მიქაელ ტყავის გურთი

22 იანვარს გაიმართა „ტყავის ბურთის“ საკავშირო კლუბის ცენტრალური შტაბის სხდომა, რომელშიც განიხილა ბაგეშვიას მასობრივი ფეხბურთის განვითარების საკითხები, შეაჯამა შარშანდელი შედეგები, დასახა მომავლის ამოცანები.

სახლმმართველობების, სკოლების, რაიონების, ქალაქების, აკადემიური და მოკავშირე რესპუბლიკების საფეხბურთო პირველობებზე მონაწილეობდა დაახლოებით 13 მილიონი ბაგეში. ისინი ამჟღავნებდნენ სწრაფას მაღალი ოქტაობისადმი, აგრეთვე, მონაწილეობდნენ სპორტული

მოედნების მშენებლობასა და რეკონსტრუქციაში, დახმარებას უწევდნენ ომისა და შრომის გეგმარებს. აღინიშნა ნაკლოვანებებიც. მაგალითად, შემცირდა ნორჩ ფეხბურთელთა რაოდენობა თურქმენეთში, ირკუტსკის, კალუგის, კემეროვოს ოლქებში, სათანადო ყურადღება არ ეთმობა სპორტული მოედნების მშენებლობას ტაჯიკეთში, არხანგელსკის, მურმანსკისა და კოსტრომის ოლქებში, ყაზანსა და პერმში. თათბირზე გადაწყდა, 1980 წლის „ტყავის ბურთის“ ფინალური გათამაშება მოეწყოს 1980 წლის 16-27 აგვისტოს.

### წილისყრის შედეგები

**როგორც** ცნობილია, ამას წინათ რომში, სასტუმრო „ქსენოლონიკოში“ 300 ჟურნალისტის თანდასწრებით გაიმართა ფეხბურთში ევროპის სამივე ტურნირისა და ევროპის 1980 წლის ჩემპიონატის წილისყრა. პროცედურა დაახლოებით 7 საათს გაგრძელდა. განსაკუთრებული ყაბაით გაიმართა იმის თაობაზე, თუ სად ჩატარებულიყო ევროპის ჩემპიონატის დასაწყისით შეხვედრები — იტალიის სამხრეთში თუ ჩრდილოეთში. უფასო-ს პრეზიდენტმა ა. ფრანკიმ მხარი დაუჭირა იტალიის ნაკრების მწვრთნელ ბეარზოტს, რომელიც ჩრდილოეთ იტალიის მომხრეა, ვინაიდან შეჯობრებაში მონაწილე ფეხბურთელთა უმრავლესობა სწორედ ჩრდილოელებია. გადაწყდა, რომ ფინალური მატჩის ფრედ დამთავრების შემთხვევაში არ დაინიშნოს თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმები, როგორც ეს 1976 წლის გათამაშებაში იყო. გუნდები მეორე დღეს გადაითამაშებენ ფინალს.

ქვემოთ ვაჩვენებთ ევროპის 1980 წლის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში მონაწილე გუნდების შეხვედრათა ცხრილს:

**11 ივნისი:** ჩეხოსლოვაკია — გერ (შეხვედრა გაიმართება რომში), საბერძნეთი — პოლანდია (ნეაპოლი).

**12 ივნისი:** ესპანეთი — იტალია (მილანი), ბელგია — ინგლისი (ტურინი).

**14 ივნისი:** ჩეხოსლოვაკია — საბერძნეთი (რომი), გერ — პოლანდია (ნეაპოლი).

**15 ივნისი:** ესპანეთი — ბელგია (მილანი), იტალია — ინგლისი (ტურინი).

**17 ივნისი:** ჩეხოსლოვაკია — პოლანდია (მილანი), გერ — საბერძნეთი (ტურინი).

**18 ივნისი:** ესპანეთი — ინგლისი (ნეაპოლი), იტალია — ბელგია (რომი).

**21 ივნისს** ნეაპოლში გაიმართება შეხვედრა მესამე ადგილისთვის.

**22 ივნისს** რომში შედგება ფინალური მატჩი.



**გავზავების სიხარულს, როგორც ყოველთვის, საზღვარი არ მქონდა, როდესაც დილადღიან ფანჯრებში ქაქუთა თოვლი დაინახეს. ბევრმა მათგანმა მშობლებთან ერთად ჩვენი ქალაქის „მატარა ბაქურის“ — მთაწმინდის პლატოსაც მიაშურა და ციგებითა თუ თხილამურებით სრიალით იჭერა გული, რაზეც ეს სურათიც მეტყუალებს.**

გ. ლომაძის ფოტო.

### «სპორტულ ბიზნისი»

სპორტული ლატარიების მთავარი სამმართველო შეაჯამა „სპორტლოტოს“ მე-3 ტირაჟების შედეგები.

**„სპორტლოტო 6-49“-დან:**  
პირველი: ექვსი (ციფრის ვერა) ვინ გამოიწყო. ექვსი (ციფრის გამოცნობისთვის) (შეღავათიანი ბურთულით, 1 ბარათი) მოგება 3117 მანეთი, ხუთისთვის (27 ბარათი) — 2117, ხუთისთვის (შეღავათიანი ბურთულით, 49 ბარათი) — 76, ოთხისთვის (1291 ბარათი) — 51, სამისთვის (25042 ბარათი) — 3.

**მეორე:** ექვსი და ექვსი (შეღავათიანი ბურთულით) (ციფრის ვერა) ვინ გამოიწყო. ხუთი (ციფრის გამოცნობისთვის) (12 ბარათი) მოგება 2510 მანეთი, ხუთისთვის (შეღავათიანი ბურთულით, 11 ბარათი) — 89, ოთხისთვის (507 ბარათი) — 64, სამისთვის (12576 ბარათი) — 3.

**„სპორტლოტო 5-36“-დან:**  
პირველი: ხუთი (ციფრის გამოცნობისთვის) (5 ბარათი) მოგება 10000 მანეთი, ოთხისთვის (1260 ბარათი) — 120, სამისთვის (35941 ბარათი) — 4.

**მეორე:** ხუთი (ციფრის გამოცნობისთვის) (2 ბარათი) მოგება აქაც 10000 მანეთი, ოთხისთვის (648 ბარათი) — 237, სამისთვის (24485 ბარათი) — 7.

მოგებული თანხის განაღდება იწარმოებს 30 იანვრიდან 29 თებერვლის ჩათვლით.

### ფეხბურთი

**ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი, სპარტაკი**

**საბერძნეთი**  
დასასრულს უახლოვდება ჩემპიონატის პირველი წრე. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ჯერჯერობით დელაქალაქის არც ერთ გუნდი არ მონაწილეობს ჩემპიონატისთვის ბრძოლაში.

XV ტურში ლიდერებმა მარცხი განიცადეს: პირეოსის „ოლიმპიკოსმა“ ათენში წაავო (0:2) „პანათინაიკოსთან“, ხოლო პაოკი (სალონიკი) ასევე ათენში დამარცხდა (0:1) „აპოლონთან“.

23 ქულით წინ არის „ოლიმპიკოსი“. პაოკს 21 ქულა აქვს, „არისს“ (სალონიკი), რომელმაც სტუმრად ფრედ (0:0) დაამთავრა მატჩი „დრამასთან“ — 20, პირეოსის „ეთნიკოსს“ — 19.

### ბელგია

XIX ტურის შემდეგ 30 ქულით წინ არის „ლოკერენი“. როგორც მიმოხილვებში აღნიშნავენ, ეს გუნდი ახლა ჩემპიონობის მთავარ პრეტენდენტად უნდა მივიჩნიოთ. ბელგიელების გარდა აქ 4 უცხოელი გამოდის: მეკარე პოლგებოომი (პოლანდია), ნახევარმცველი ბეტი (შოტლანდია), თავდასხმელები ლიუბანსკი (პოლონეთი) და ლარსენი (დანია).

28 ქულით მეორე ადგილზეა „ფკ ბრიუჯი“, 25-25 ქულა მოაგროვებს ლიეჟის „სტანდარდმა“ და „მოლენბეკმა“.

### იტალია

გუნდებმა დაიწყეს მეორე წრე. შედეგადაა კვლავინდებურად ერთობ დაბალია, მიმოხილვებში მიიჩნევენ, რომ წამყვანი გუნდები კლასი საგრძობლად დაცა.

პირველ ადგილზე მყოფი „ინტერი“ XVI ტურში სტუმრად თამაშობდა უიმერლ აულსაიდერ „პესკარასთან“ (იგი 5 ქულით ჩამორჩება ბოლოსწინა ადგილზე მყოფ „კატანძაროს“) და გაიმარჯვა — 2:0 „მილანმა“, რომელიც დელისთვის „ინტერის“ ერთხდერთ სერიოზულ მეტოქედ უნდა მივიჩნიოთ, შინ ფრედ (0:0) თამაშა „რომასთან“.

სხვა მატჩები: „ბოლონია“ — „იუვენტუსი“ 1:1, „კატანძარო“ — „პერუჯა“ 2:1, „ლაციო“ — „აველინო“ 1:1, „ნაპოლი“ — „ასკოლი“ 1:0, „ტორინო“ — „კალიარი“ 0:0, „უდინეზე“ — „ფიორენტინა“ 2:2.

XVI ტურის შემდეგ „ინტერი“ 23 ქულა აქვს, „მილანი“ — 20, 17-17 ქულა მოაგროვებს „ტორინომ“, „ნაპოლიმ“, „პერუჯამ“ და „რომამ“.

### რედაქტორი ბ. ბასილანი

### ოლიმპიური ტურნირი სამხრეთ ამერიკაში

სტარტს იღებს სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ფეხბურთელთა შესარჩევი ტურნირი. მონაწილეებს გამოაკლდა ურუგვაის გუნდი, რომელმაც შარშან 11 დეკემბერს მიმართა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას, რომ არ შეეშალა მონაწილეობა მიიღოს შესარჩევი ქვეჯგუფში. ახლა 2 ოლიმპიური საზღვრისთვის იბრძობებენ კოლუმბიის, პერუს, ბოლივიის, არგენტინის, ბრაზილიის, ჩილისა და ვენესუელის გუნდები.

როგორც პრესა იუწყება, არგენტინის ოლიმპიური ნაკრების ხელმძღვანელობა დააკლავს მსოფლიოს ჩემპიონთა მწვრთნელს ლ. მენოტის. მან განაცხადა, რომ ოლიმპიურ ნაკრებს ჩამოაყალიბებს იმ მოთხოვნათაგან, რომლებსაც არა აქვთ რეგისტრირებული კონტრაქტები არგენტინის ფეხბურთის ფედერაციასთან. ოლიმპიური ნაკრების საბაზო კლუბი, ალბათ, იქნება „ტალერისი“ ქ. კორდობიდან.

### ჯილდოები გადაეცათ

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონის ოსტატთა კლუბში ჯილდოები გადაეცათ ქალაქის გუნდებს, რომლებმაც წარმატებებს მიაღწიეს განვლილ საფეხბურთო სეზონში.

დაჯილდოებულია შორის არიან ზოთოვეტისტიტუტის გუნდი, სპორტკლუბები „უშბა“, „ფიგურია“, „ავაზა“, „ნორჩი დინამოელი“ და სხვები.

### მოკლელ

„შალკა-04“-ის ახალი მწვრთნელია ბუნდესლიგის ერთ-ერთ უძველეს ბინდარს — „შალკე-04“-ს ახალი მწვრთნელები ჰყავს: დ. შვაგერი და გ. ზიბერტი.

**იოჰანესბერგის — „მანჩესტერ იუნაიტედი“**  
იუგოსლავიის ფეხბურთის ეროვნულმა ფედერაციამ ნება დართა ბელგრადის „პარტიზანის“ მცველს და ნაკრების ერთ-ერთ კანდიდატს ნიკოლა იოჰანესბერგს მთავალი სეზონიდან დაიკვას ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედის“ ლისება.

საპარტელო კვ ცკ-ის გამომცემლობის ხაზგაშვით, 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იხილეთ ოფისური ფაქსი საპარტელო კორპუსი, ხოზარაულის: 29. ინდექსი 66435

ბარდო ორუბათისა და პარასკევის. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“-ს მისამართი — 99-56-14, 93-97-50; რედაქციის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-53; მასშტაბული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-58; ჟარდაყის — 93-97-26; საინფორმაციო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანები — 93-97-57.